ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების გაერთიანებული კომისიის სხდომის

ოქმი #6

26 დეკემბერი 17.30 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე, ლ.დარახველიძე, ფ.ინჯია, ნ.ლაცაბიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ქონების დაცვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ბიზნესის სტიმულირების განყოფილების უფროსი გიორგი ებანოიძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულების დადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“.

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ.თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ბიზნესის სტიმულირების განყოფილების უფროსმა გიორგი ებანოიძემ წარმოადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება“

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით ევროკავშირისგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის გამოყოფის მიზანს წარმოადგენს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს ბიზნეს აქსელერატორის შექმნაში. გრანტის მოცულობა შეადგენს 506633,98 ევროს, რომელიც მოხმარდება ბიზნეს აქსელერატორის შენობის რემონტს და აღჭურვას, დამწყები ბიზნესის დამხმარე ექსპერტების სახელფასო ანაზღაურებას, სტრატეგიული დოკუმენტების და ბიზნეს გეგმების შექმნას. გრანტის ხანგრძლივობა მოიცავს ოთხ წელს 2018-2021 წლები. მერიის კონტრიბუცია იქნება მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამების ამოქმედება 2019-2021 წლებში, რომლის მეშვეობითაც მოეწყობა სხვადასხვა ბიზნესის მასტიმულირებელი აქტივობები.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ლ.დარახველიძემ, ქ.ჯოხაძემ

გ.ებანოიძემ ყველა დასმულ შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

მომხრე --- 9

წინააღმდეგი --- 0

თავი შეიკავა --- 0

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება დადებითად იქნა შეფასებული, კომისიას არ გააჩნია სამართლებრივი შენიშვნები და მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაზე თანხმობის მიღების საკითხის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია